საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება

GEORGIAN BEEKEEPERS UNION

ფუტკრის დაავადება

ამერიკული სიდამკლე

ამერიკული სიდამპლე ფუტკრის ოჯახების დამღუპველი ბაქტერიული დაავადება, რომელიც გამოწვეულია სპორის (სპორაზე) წარმომქმნელი გრამდადებითი ბაქტერიით **PAENIBACILLUS LARVAE.** დაავადებას შეუძლია დაღუპოს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი ოჯახები. დაავადებული ფუმფლი იღუპება ჭუპრობამდე. ითვლება, რომ ეს დაავადება განუკურნებელია და დაავადების გავრცელების აღსაკვეთად მიმართავენ ინფიცირებული ოჯახების განადგურებას.

ახასიათებს:

- არ ახასიათებს სეზონურობა;
- ავადდება ძირითადად ფუმფლი, რომელიც იკვებება რძით, დაავადების მიმართ მიდრეკილნი არიან 36 საათამდე ასაკის ფუმფლები;
- დაავადების გადამტანები არიან ძიძები, რომლებიც ფუმფლს კვებავენ;
- ფუმფლი, რომელიც კვების სხვა რაციონზეა გადასული (თაფლი, ჭეო), ნაკლებად მიდრეკილია დაავადების მიმართ;
- დაავადების ბაქტერიის სპორას შეუძლია გაძლოს 50-70 წლამდე და ასევე გამძლეა მაღალი ტემპერატურის მიმართ;
- დაავადებული ფუმფლი ვერ აღწევს ჭუპრობის სტადიას;
- ფუმფლის დაინფიცირებისათვის საკმარისია 10 სპორაც;
- არცერთ ანტიბიოტიკს არ შეუძლია შეაღწიოს სპორის კედლებში, ამიტომ არაეფექტურია ანტიბიოტიკებით "პროფილაქტიკა";
- ვრცელდება სპორებით



„ჭრელი ბარტყი"



ამერიკული სიდამპლისათვის
დამახასიათებელი
„ნისკარტი"



წელვადობა

ადრეულ ასაკში
დაღუპული ფუმფლი, დაღვენთილია
უჯრის ქვედა კედელზე



უჯრის ფსკერისკენ
ჩაჩვრეტილი თავსახური

დიაგნოსტიკა ადრეულ ეტაპზე

ჭუპრი უმრავლეს შემთხვევაში იღუპება უჯრის გადაბეჭდვისთანავე.



დააკვირდით ფოტოს: დაავადებულ ჭუპრიან უჯრებს ფერი შეცვლილი აქვთ და ასევე ჯანმრთელი უჯრების ფონზე უფრო ჩაღრმავებულ-ჩავარდნილებია უჯრის თავსახურავები

დიაგნოზისას ხშირად დაშვებული შეცდომები

I - შეცდომა (ჭრელი ბარტყი)

მსგავს ფოტოზე მეფუტკრე იფიქრებს, რომ ჭრელი ბარტყია და მაშინვე სიდამპლეებზე იეჭვიანებს, მაგრამ ეს გამოწვეულია ნეექტრის შემოღინებით და ფუტკარი არ აძლევს საშუალებას დედას თანაბრად გაანაწილოს კვერცხი და დედასაც უწევს აქეთ-იქით სირბილი და რჩება უამრავი გამოტოვებული უჯრა, რაც "ჭრელი ბარტყის" სურათს ქმნის

II - შეცდომა (გადახსნილი უჯრა)

ფოტოს დანახვაზე მეფუტკრე იფიქრებს, რომ ჭრელი ბარტყია არადა აქ მოცემულია ფუტკრის ჰიგიენური თვისება ვაროას მიმართ VSH

ვაროას მიმართ ჰიგიენური ქცევის შედეგი VSH, ჭუპრი თეთრი ფერისაა, მას მხოლოდ ვაროას პრობლემა აქვს, რის გამოც სანიტარმა ფუტკრებმა უჯრა გადახსნეს და ამით ცდილობენ შეაფერხონ ვაროას რეპროდუქციის ციკლი.



აქაც ვაროას მიმართ ჰიგიენურობა -VSH

ფოტოზე მოცემულია ამერიკული სიდამპლით დაავადებული და მკვდარი ჭუპრი, სადაც ხორთუმის „ნისკარტის" ფორმა შენარჩუნებულია



ფოტოზე მოცემულია დაავადებისგან მკვდარი ბარტყი, რომელსაც ხორთუმი გადმოგდებული აქვს, მაგრამ, ფოტოზე მოცემული დაავადება არაა ამერიკული სიდამპლე, ამერიკული სიდამპლის შემთხვევაში ჭუპრი განვითარების ამ ფაზამდე ვერ აღწევს.

პროფილაქტიკური ღონისძიებები:

- კარგი საწარმოო პრაქტიკის დანერგვა;
- გენეტიკურად ჰიგიენური ფუტკრის ოჯახების შერჩევა სელექციისათვის;
- ცილოვანი საკვების (ყვავილის მტვერის) აუცილებლობა. თუ უამინდობაა, დამატებითი ცილოვანი საკვების მიწოდება ოჯახებზე;
- საკვების მარაგებზე ყურადღების მიქცევა, ნუ აშიმშილებთ ოჯახებს და ნუ წაართმევთ ჭეოიან/თაფლიან ფიჭებს; თაფლს ვერანაირი საკვებდანამატები ვერ ჩაანაცვლებს;
- ფიჭების განახლება ყოველ მეორე წელს; შავი ფიჭების გადადნობა ცვილად;
- ჩარჩოების მინიმალური გადანაცვლება ოჯახებს შორის;
- შეეცადეთ, დროულად აღკვეთოთ ქურდობა და ასევე შეამციროთ ფუტკრების დრეიფი ოჯახებს შორის
- დააავდების ნიშნების შემჩნევისას გამოიძახეთ შესაბამისი ვეტერინარული სამსახური;

როგორც წესი, ამერიკული სიდამპლის დაავადებების სიმპტომებს, როცა მეფუტკრე ამჩნევს, უკვე პროცესები შორსაა წასული და დაავადების განკურნება შეუძლებელია. მიმართეთ შესაბამის ვეტერინარულ სამსახურს.

გაითვალისწინეთ: ამერიკული სიდამპლეს მკურნალობა ანტიბიოტიკებით უშედეგოა, სჯობს ასეთი ოჯახები გავანადგუროთ, რადგან დაავადებების გავრცელება ავირიდოთ თავიდან.

ტექსტი შედგენილია ავქსენტი პაპავას მიერ.

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება.

GEORGIAN BEEKEEPERS UNION

თბილისი, დიდუბის რაიონი,
აკ. წერეთელის გამზირი, N142
+995 599 998 798 / geobeekeepers@gmail.com
WWW.GEOBEEKEEPERS.GE
WWW.FACEBOOK.COM/GEOBEEKEEPERS.GE